XIII თავი

სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და პერსონალური მონაცემების დამუშავება

(განახლებული რედაქცია - ივლისი, 2024 წ)

სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია **,,უმაღლესი განათლების შესახებ"** საქართველოს კანონის 43-44-ე მუხლებით. აღნიშნული კანონის შესაბამისად განმარტებულია **ბსუ-ს წესდების** 66-ე მუხლით ბსუ-ს სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები და რაც აისახება ბსუ-ს **<u>სტუდენტთან დადებულ ხელშეკრულებაში.</u>**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის თანახმად, **სტუდენტს უფლება აქვს:**

- მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად;
- თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სახელმწიფო დაფინანსების გადატანის წესს განსაზღვრავს მინისტრი;
- მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით გადავიდეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საქართველოს კანონმდებლობისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

- პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
- განახორციელოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის** ქმნის შესაბამის პირობებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, კერძოდ, ბსუ-ში არის მათთვის ადაპტირებული გარემო (ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულები, ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური, პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პერსონალი და ბსუ-ს შესაბამისი დასაქმებულები უზრუნველყოფენ საუნივერსიტეტო სივრცეში მათი ადაპტირების ღონისძიებებს).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები და დედ-მამით ობოლი სტუდენტები **თავისუფლდებიან ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან** (საფუძველი - ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესი, წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N3).**

ბსუ-ს სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათები შეიძლება მიენიჭოთ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში **სასწავლო სოციალური პროგრამის** ,,სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 8**) შესაბამისად, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხვა გადაწვეტილების ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

ბსუ-ს ფაკულტეტებისა და ბსუ-ს სხვა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პერსონალი, მათი კომპეტენციებისა და ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, **ხელს უწყობს სტუდენტების უფლებების რეალიზაციას,** მათ შორის ბსუ - ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი ბსუ-ს სტუდენტებს ყოველდღიურად უწევს კონსულტაციებს, იცავს მათ კანონიერ ინტერესებს, ხელს უწყობს კარიერული განვითარების, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მათ ჩართულობას.

სტუდენტთათვის მატერიალური, საინფორმაციო, საბიბლიოთეკო რესურსების **ხელმისაწვდომობისა და სტუდენტთა მხარდაჭერის/სხვადასხვა საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ ინფორმაცია** ასახულია წინამდებარე **გზამკვლევის მე-14 თავში.**

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის და ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის თანახმად, **სტუდენტი ვალდებულია** ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას ბსუ-ს წესდება, ეთიკის კოდექსი და შინაგანაწესი.

სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები და ამ მიზნით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია

(დაარეგისტრიროს სასწავლო კურსები/კომპონენტები) და შეასრულოს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სამუშაო;
ბ) ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადაში გადაიხადოს სწავლის საფასური (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია);
გ) სისტემატიურად ისარგებლოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემით"/,,სტუდენტური პორტალით", რომლის საშუალებით მიეწოდება ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების შესახებ;
დ) უნივერსიტეტთან კომუნიკაციისათვის (ინფორმაციის, ცნობების მიღება) ისარგებლოს სტუდენტური პორტალით და პირადი მონაცემების ცვლილების შემთხვევაში წარმოადგინოს წერილობითი განცხადება სტუდენტურ პორტალზე/ელექტრონულ სისტემაში, მის პირად პროფილში, პირად საქმეში ასახვისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით;
ე) გაეცნოს უნივერსიტეტში გამოცემულ სამართლებრივ აქტებს (აისახება ,,სტუდენტის გზამკვლევში"/ განთავსდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/სტუდენტურ პორტალზე/ კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე/ბსუ-ს ვებ-გვერდზე (**www.bsu.edu.ge.**) ან/და უნივერსიტეტის გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი");
ვ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს ბსუ-ს საბიბლიოთეკო და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, ჯეროვნად შეასრულოს მასთან დადებული ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის აქტებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები;

ბსუ-ში სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ,,პერსონალურ მოანცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა (იხ. www.bsu.edu.ge. ჩვენ შესახებ - იურიდიული ცნობარი- ნორმატიული აქტები) და ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 05 ივნისის №01-02/75 ბრძანებით დამტკიცებული **,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის** " შესაბამისად (წინამდებარე **გზამკვლევის დანართი 39**).

უნივერსიტეტი სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს **(შემდეგში - მონაცემთა სუბიექტს)** მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებამდე აწვდის ინფორმაციას დასამუშავებელი პერსონალური მონაცემების სახეების შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს წესდებით განსაზღვრული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, ასევე პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ბსუ-ს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის **თანხმობა,** აისახება ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან (შემდეგში - სტუდენტთან) დადებულ **ხელშეკრულებაში** (ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით).

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. ამ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს. თანხმობის გამოხმობა შესაძლებელია იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობაა გამოხატული. სტუდენტს თანხმობის გამოხმობამდე უფლება აქვს ბსუ-ს მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.

ბსუ-ს <u>სტუდენტის პირადი საქმე</u> იხსნება მის მიერ უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვების, დადგენილ ვადებში ბსუ-ში რეგისტრაციის, ხელშეკრულების გაფორმებისა და უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველზე. **სტუდენტის პირად საქმეში განთავსდება** ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციით (იხილეთ ბსუ-ს ვებგვერდზე ველში ,,იურიდიული ცნობარი") გათვალისწინებული სტუდენტის პერსონალური მონაცემების შემცველი პირადი დოკუმენტაცია.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მონაცემთა დამუშავება არის მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.

ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში მუშავდება სტუდენტის შესახებ შემდეგი პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, სქესი, ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საცხოვრებელი და რეგისტრაციის მისამართი, განათლების შესახებ ინფორმაცია, მოქალაქეობა, სამხედრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია, ბსუ-ს შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის დრო, უცხო ენების ცოდნის/ცოდნის დონეების შესახებ ინფორმაცია, სტუდენტის სახელის/გვარის/პირადი ნომრის <u>შეცვლის შესახებ,</u> სტუდენტის სტატუსთან/საგანმანათლებლო პროცესთან/პროგრამის მოთხოვნების შესრულებასთან/შეფასებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებში ასახული/ასახვისათვის საჭირო ინფორმაცია/მონაცემები (პროგრამაზე ჩარიცხვის, შეწყვეტის, სტატუსის შეჩერების, კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის გაცემის/გაუქმების/შეცვლის შესახებ, ადმინისტრაციული რეგისტრაციის/აკადემიური რეგისტრაციის გავლასთან დაკავშირებით, აღდგენის/სასწავლო პროცესში დაბრუნების, მობილობის/შიდა მობილობის/საერთაშორისო მობილობის, საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული აქტები, პრაქტიკაზე დაშვების/დაცვის შესახებ, სასწავლო კურსების რეგისტრაციის/ცვლილების შეტანის/გაუქმების/დამატებითი სპეციალობის არჩევის, ათვისებული კრედიტების, სტუდენტის სასწავლო ბარათში შეტანილი/შეტანისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია);

ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტის შესახებ დამუშავდეს <u>**ასევე შემდეგი პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია:**</u> ა) ბსუ-ს საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად **ან/და** სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ფართის გამოყოფისათვის შესაბამისი რეგულაციებით მოთხოვნილი ინფორმაცია (სტუდენტის მომართვის შემთხვევაში); ბ) სტუდენტის სოციალური ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან/და მშობლის გარდაცვალების შესახებ ან სხვა, სოციალური კატეგორიის შესახებ ინფორმაცია (თუკი შესაბამისი პროგრამა/პროექტი/საგრანტო ხელშეკრულება ითვალისწინებს ამ კატეგორიის პერსონალური მონაცემების წარმოდგენის საჭიროებას, სწავლის დაფინანსების/სწავლის საფასურში შეღავათის მინიჭებისათვის და სტუდენტი განცხადებით ითხოვს პროგრამაში/პროექტში ჩართულობას ან სწავლის საფასურში შეღავათს; გ) სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (თუკი აღნიშნული საფუძვლით სტუდენტი ითხოვს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას ან უკავშირდება პროგრამის შესრულების მოთხოვნებს); დ) სტუდენტის საუნივერსიტეტო, საგანმანათლებლო, კულტურულ, შემოქმედებით, სამეცნიერო აქტივობაში მონაწილეობის შესახებ (თუკი უნდა გამოიცეს სტიპენდიის დანიშვნის/გაცემის ან სწავლის საფასურში შეღავათის მინიჭების/სწავლის დაფინანსების შესახებ სამართლებრივი აქტი); ე) სხვა სახის პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია, რომლის წარმოდგენა გათვალისწინებულია კანონმდებლობით და უნდა გამოიცეს შესაბამისი აქტი/განხორციელდეს აქტივობა სტუდენტის თხოვნით/ინტერესებიდან გამომდინარე და კანონმდებლობის შესაბამისად.

ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი ბსუ-ში რეგისტრაციის, პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და **ბსუ-თან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაივლის რეგისტრაციას ბსუ-ს პორტალზე** (<u>www.portal.bsu.edu.ge</u>). რეგისტრაციის პროცესში სტუდენტი პორტალზე უთითებს: ა) პირად ნომერს (პირადი ნომრის მითითების შემდგომ ავტომატურად ფიქსირდება სახელი და გვარი, ვინაიდან, სტუდენტის მონაცემები უკვე ასახულია პორტალზე); ბ) ტელეფონის ნომერს; გ) მისამართს და დ) ელექტრონული ფოსტის მისამართს (ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის და მისამართის მითითება სავალდებულოა, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია უნივერსიტეტს ესაჭიროება სტუდენტთან სხვადასხვა კომუნიკაციის დასამყარებლად. ამასთან, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხდება სტუდენტის ავტორიზაცია და პაროლის დადასტურება. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ აქვს ელექტრონული ფოსტა, მას შეუძლია თავისი სურვილისამებრ, უნივერსიტეტის დომეინის (@bsu.edu.ge) გამოყენებით შექმნას პირადი ელექტრონული ფოსტა, პორტალის ადმინისტრატორის დახმარებით. აღნიშნული ელ. ფოსტის მისამართი უქმდება, მისი უწყვეტად 5 წლის განმავლობაში გამოუყენებლობის შემთხვევაში).

წინამდებარე გზამკვლევის N24 დანართში სტუდენტს შეუძლია იხილოს **ბსუ-ს ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესი** (შემდეგში - ,,წესი“), რომელიც განსაზღვრავს <u>ბსუ-ს ელექტრონული პლატფორმების/სერვისების:</u> 1. სტუდენტური პორტალის - **portal.bsu.edu.ge** (შემდეგში - ,,პორტალი“) და 2. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის - **spm.bsu.edu.ge** (შემდეგში - ,,ელექტრონული ჟურნალი“ ან ,,ელ. ჟურნალი“) <u>ადმინისტრირების რეგულაციას.</u>

სტუდენტს (მონაცემთა სუბიექტს) <u>**უფლება აქვს მოითხოვოს**</u> მის შესახებ არსებული <u>მონაცემების გასწორება, განახლება, შევსება, დამატება,</u> იმ შემთხვევაში თუ მონაცემები არაზუსტი ან არასრულია. ასევე **სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს** <u>მონაცემთა დამუშავების დროებითი შეჩერება (დაბლოკვა)</u> იმ შემთხვევაში, თუ სადავოა მონაცემთა

დამუშავების მიზნები ან/და საფუძვლები, მათი ნამდვილობა ან სიზუსტე. უნივერსიტეტი, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, ახდენს მონაცემთა დაბლოკვას მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში.

ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფს **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი** (მარიამ მამულაძე, ტელ: 577 15 29 69; ელ. ფოსტა: Mariam.mamuladze@bsu.edu.ge).

სტუდენტს უფლება აქვს, პერსონალური მონაცემების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

<u>პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ კანონმდებლობა, განმარტებები და რეკომენდაციები</u> ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე და საინფორმაციო ველებზე:

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური: ვებ-მისამართი **https://pdps.ge/ka;**
ტელ:<u>(+995 32) 242 1000</u> ; E-mail: <u>office@pdps.ge</u>